ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2441729

ნომერი: AR1376305

თარიღი : 11.02.2016

გაცემის თარიღი : 19.02.2016

გაცნობის თარიღი : 20.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , ნაკვეთი N03/036-ის მიმდებარედ (ნაკვ.03/042)/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , N9-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი 03/029) / ქალაქი თბილისი , გობრომიძის N13 შ.პ.ს. დილეოს და ავტო სადგომს შორის/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , მიკრო/რაიონი II , კორპუსი 2 , მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , შპს ,,ლეგია და კომპანია"-ს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საზოგადოებრივი კვების ობიექტი(საბანკეტო დარბაზი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კარლო მშვიდობაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "დილეო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200267692
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კახაბერ დვალიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017016465

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1207.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 330.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 293.7
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 236.0
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 57.7
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1551.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1155.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 396.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 5.66
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 4.46
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.2
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k1 sacxovrebeli zona 1-sTvis: saproeqto Senoba nageboba =94.4 kv/m = 0.5 asaxuli koeficientSi. k1 sazogadoebriv saqmiani zona 1-sTvis saproeqto Senoba nageboba 231.2 kv/marsebuli Senoba 466.6 kv/m =0.6 asaxuli koeficientSi
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : k2 koeficienti sazogadoebriv saqmiani zona -1-sTvis: saproeqto Senoba nageboba =228.7kv/m , arsebuli Senoba nageboba 933.2kv/m= 1161.9kv/m= 1.0 asaxuli koeficientSi. k2 sacxovrebeli zona 1-sTvis saproeqto Senoba nageboba 94.4kv/m= 0.5 asaxuli koeficientSi
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 123კვ/მ=01 ასახული კოეფიციენტში

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1. გამომდინარე იქიდან, რომ ამონაწერში ვალდებულების ველში დაფიქსირებულია შეზღუდვა (დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე) – საჭიროა მიმართოთ შესაბამის სამსახურს და მოხსნათ აღნიშნული შეზღუდვა და ასახოთ საჯარო რეესტრის ამონაწერში.
2. შესაბამის ველებში მიუთითეთ გაპის რეკვიზიტები.
3. ველში –> საჭიროების შემთხვევაში მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული დასკვნა: ატვირთეთ კონსტრუქციული დასკვნა მომიჯნავე შენობის არსებულ ტექნიკურ მდგომარეობასა და საპროექტო შენობის მშენებლობის პროცესში მასზე ზეგავლენის შესახებ, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელისმოწერით დადასტურებული და შეავსეთ ექსპერტის მონაცემები; იმ შემთხვევაში თუ დასკვნაში მოთხოვნილი იქნება რაიმე სახის გამაგრებითი

სამუშაოების ჩატარება მშენებლობის პროცესში დამატებით წარმოდგენილ იქნას გამაგრების პროექტი და კალენდარულ გრაფიკში ეტაპის სახით ასახული გამაგრებითი სამუშაოები.

4. ველში –> წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება -> მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი: ატვირთული მინდობილობა ვადაგასულია, საჭიროა განაახლოთ ვადის ნაწილში ან დამკვეთი ორგანიზაციის დირექტორი დააფიქსიროთ თანაგანმცხადებლად.

5. ველში –> მოთხოვნის შინაარსი -> მოთხოვნის ტექსტი: მოთხოვნა დააყენეთ არჩეული ნომენკლატურის შესაბამისად, პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემაზე.

6. ველში –> სატიტულო ინფორმაცია -> ელექტრონული ფოსტა: ქვედა ველებში შეავსეთ საპროექტო ორგანიზაციის დასახელება და მისი საიდენტიფიკაციო კოდი.

7. ველში –> არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ფოტოსურათების pdf ფაილი: ატვირთეთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, გადაღებული სხვადასხვა რაკურსიდან, გადაღების თარიღის მითითებით.

8. ველებში –> ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით) -> კ1, კ2, კ3 კოეფიციენტების საანგარიშო ფართობები (კვ.მ და ასახული კოეფიციენტებში): ტექსტი მიუთითეთ ქართული სტანდარტული შრიფტის გამოყენებით და მაჩვენებლები მეათედი სიზუტით (ზოგ შემთხვევაში არ შეესაბამება მითითებულ საანგარიშო ფართობს). ასევე, მიუთითეთ კ3 კოეფიციენტის ზონების შესაბამისი საანგარიშო ფართობები და მაჩვენებლებიც.

9. ველში –> "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: მიუთითეთ განაშენიანების ფართობსა და გადახდილ ნებართვის მოსაკრებელს შორის სხვაობა და მის შესაბამისად გადაიხადეთ ბიუჯეტში ნებართვის მოსაკრებელი, 1 კვ.მ-ზე 1 ლარის ოდენობით.

10. ველში –> მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი: განმარტეთ ტოპოზე დატანილი ღობის შესახებ და იმ შემთხვევაში თუ ხდება მისი დემონტაჟი ეტაპის სახით ასახეთ მისი სადემონტაჟო სამუშაოები, ხოლო თუ ხდება მისი შენარჩუნება, ასეც განმარტეთ და ასახეთ შესაბამის გრაფიკულ ნაწილზე.

11. ველებში –> შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, შენობა-ნაგებობის ჭრილები, შენობა-ნაგებობის ფასადები -> pdf ფაილები (მასშტაბი 1:100); საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი (AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით); ფოტომონტაჟი და აქსონომეტრიული ხედები; შენობა - ნაგებობის "სავიზიტო" სურათები:

- გრაფიკულ ნაწილზე დატანილი საკადასტრო საზღვრები არ შეესაბამება საკადასტრო გეგმაზე დატანილს. საჭიროა პროექტში საკადასტრო საზღვრები დაიტანოთ რეესტრის შესაბამისად. ასევე, ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი და განაშენიანების რეგულირების ხაზი დაიტანეთ გაპის დანართში დატანილის შესაბამისად (პროექტში დატანილი ზომების ნაწილში არ შეესაბამება დანართში დატანილს).
- პროექტით გასათვალისწინებელია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსის მოწყობა, რომლის დახრის პროცენტიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ უნდა აღემატებოდეს 6-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეასწორეთ განაშენიანების ფართობიც (პანდუსი იანგარიშება განაშენიანების ფართში) და ნებართვის მოსაკრებელიც.
- "1-8" ღერძებში განთავსებული ღიობებით ირღვევა სამეზობლო მიჯნა, შესაბამისად საჭიროა პროექტით დაიცვათ მიჯნის ზონა ან წარმოადგინოთ მომიჯნავე ნაკვეთის მესაკუთრის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა მიჯნის ზონაში ღიობების განთავსების შესახებ.
- ატვირთეთ განახლებულ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტომასალაზე სხვადასხვა რაკურსით (არსებული ფოტოების ანალოგიურად) დამუშავებული ფოტომონტაჟები, მოსაპირკეთებელი მასალებისა და ფერის მითითებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.